



ევროპის უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის
ცენტრის დებულება

2018

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	2
მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზანი	3
მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები	3
მუხლი 4. ცენტრის საქმიანობის ფორმები	4
მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა	4
მუხლი 6. სხვა დებულებები.....	5





მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში-„უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი (შემდგომში-„ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის პრინციპებს, ფუნქციებს.

1.3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზანი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის საქმიანობის მიზანია, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები

3.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- ბ) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია უნივერსიტეტის მასშტაბით;
- გ) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროცესში ჩართულობის წახალისება;
- დ) საგრანტო პროექტების მოძიება და საგრანტო პროექტებში პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;
- ე) სტუდენტების და პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;
- ვ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით, საერთაშორისო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე ზრუნვა;
- ზ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილების განხორციელება.



მუხლი 4. ცენტრის საქმიანობის ფორმები

4.1. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნის და ფუნქციების განხორციელებისთვის ცენტრი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) ატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სასწავლო კურსებს, პრეზენტაციებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქტივობებს;

4.2. თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;

4.3. მონაწილეობას იღებს პროექტებსა და კონკურსებში, გამოდის პროექტებისა და კონკურსების ინიციატორად;

4.4. თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

4.5. ახორციელებს უცხოეთიდან მეცნიერ-მკვლევართა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს ევროპის უნივერსიტეტში მათ მიერ სემინარებზე მოხსენებებისა და ლექციების წაკითხვას;

4.6. ეხმარება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ჩაერთონ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით, ასევე კვლევით საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში;

4.7. ეწევა სხვა სასწავლო, საკონსულტაციო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

5.1. ცენტრი შედგება დირექტორისა და მეცნიერ თანამშრომლებისაგან

5.2. ცენტრის დირექტორის ფუნქციებია:

ა) ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა;

ბ) ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა;

გ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა ყველა მიმართულებით;

დ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია უნივერსიტეტის მასშტაბით;



- ე) ინსტიტუციური და ინდივიდუალური გრანტების მოძიება და უნივერსიტეტის ფარგლებში გრანტებზე მომუშავე ჯგუფების კოორდინაცია;
- ვ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაზე ზრუნვა და უცხოელი მკვლევარების მოწვევის ორგანიზება;
- ზ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

5.3. მეცნიერ თანამშრომლის ფუნქციებია:

- ა) სამეცნიერო კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერების ნორმების დაცვა;
- ბ) ცენტრის უფროსის თანხმობის შემდეგ, ცენტრში განხორციელებული კვლევის შედეგების პუბლიკაციისას ცენტრის დასახელების მითითება;
- გ) თავის კვლევებში საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაიცვა;
- დ) ყოველი წლის დასაწყისში ცენტრის უფროსის სახელზე წინა წლის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ანგარიშის წარდგენა;
- ე) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დასკვნების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ვ) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირებაში მონაწილეობის მიღება;
- ზ) უცხოელი მკვლევარების უნივერსიტეტში მოწვევის ორგანიზებაში მონაწილეობა;
- თ) უფროსის დავალებით, თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 6. სხვა დებულებები

6.1. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

6.2. ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.